ანტიკორუფციული ბიურო

პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის 2024 წლის ანგარიში

შესავალი

კორუფციისაგან თავისუფალი პოლიტიკური გარემოს უზრუნველსაყოფად, ანტიკორუფციული ბიურო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ პრევენციულ ღონისძიებებს. მათ შორის, უზრუნველყოფს პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასა და საჯაროობას. ანტიკორუფციულ ბიუროში, აღნიშნულ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც დადგენილია საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი", „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონით, ახორციელებს პოლიტიკური პარტიების ფინანსური მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფისა და მონიტორინგის დეპარტამენტი.

წინამდებარე ანგარიში ასახავს პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის შედეგებს შემდეგ საანგარიშო პერიოდებზე:

- 2024 წლის პირველი იანვრიდან 26 აგვისტოს ჩათვლით;
- 2024 წლის 27 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით (წინასაარჩევნო პერიოდი).

1. ანგარიშვალდებულება და საჯაროობის უზრუნველყოფა

„პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანებით დამტკიცებულია ფინანსური ანგარიშების ფორმები, რომლებიც მოიცავს პარტიის ფინანსური საქმიანობის ყველა ძირითად კომპონენტს, ადგენს ანგარიშების წარმოდგენის პერიოდულობას და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის წესებს.

ანტიკორუფციული ბიურო, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების საჯარო ხელმისაწვდომობას, როგორც ოფიციალურ ვებგვერდზე - **monitoring.acb.gov.ge**, ისე ინდივიდუალურად, ყველა დაინტერესებული პირისათვის.

პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისთვის ანტიკორუფციული ბიურო პოლიტიკურ პარტიებს აქტიურ რეჟიმში უწევს საკონსულტაციო მხარდაჭერას.

კონსულტაციის მიზნით ანტიკორუფციულ ბიუროსთან დაკავშირებისთვის არსებობს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხი:

- ელ. ფოსტა: Documents@acb.gov.ge;
- მობ.: +995 575 778 166;
- ცხელი ხაზი: 032 2 19 71 72.

2. პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგი

ანტიკორუფციული ბიუროს პოლიტიკური პარტიების ფინანსური მდგომარეობის დეკლარირების უზრუნველყოფისა და მონიტორინგის დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი), „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და ანტიკორუფციული ბიუროს დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (შემდგომში - პოლიტიკური პარტია), საარჩევნო სუბიექტებისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირთა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას, სისტემატიზაციასა და შემოწმებას.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის კანონიერებისა და გამჭვირვალობისათვის დადგენილი წესების სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით, ანტიკორუფციულ ბიუროში, მიმდინარეობს 35 ადმინისტრაციული წარმოება. მიმდინარე წარმოებების შედეგების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა, უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პროცედურების დასრულებისთანავე.

2.1. პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი - 2024 წლის პირველი იანვრიდან 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია არის საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა. ამავე ორგანული კანონის თანახმად, აღნიშნული პერიოდი იწყება კენჭისყრის დღემდე 60 დღით ადრე. თუმცა, პოლიტიკური ფინანსების უწყვეტი მონიტორინგის მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ პოლიტიკური სუბიექტები არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით აქტივობებს არჩევნების დანიშვნის დღემდე ბევრად ადრე იწყებენ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საარჩევნო კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებით, 34 პოლიტიკურ პარტიას დაევალა წარმოედგინა 2024 წლის პირველი იანვრიდან 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის (შემდგომში - საანგარიშო პერიოდი) სრული ფინანსური ინფორმაცია.

ანტიკორუფციული ბიუროს მოთხოვნის შესაბამისად, 33-მა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია, ხოლო ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ არ შეასრულა მოთხოვნა. კერძოდ, პოლიტიკურმა პარტიამ **„გირჩი - მეტი თავისუფლება“**, ანტიკორუფციულ ბიუროს არ წარუდგინა კანონის თანახმად გამოთხოვილი ფინანსური ინფორმაცია. შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც იმავე დღეს გაეგზავნა პარტიას და წარედგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს განსახილველად. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით პოლიტიკური პარტია **„გირჩი - მეტი თავისუფლება“** ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად.

33 პოლიტიკური პარტიის მიერ, ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების სისრულის, სისწორისა და კანონიერების შემოწმების პროცესში, შვიდ პოლიტიკურ პარტიასთან მიმართებით გამოვლინდა საკითხები, რომლებიც საჭიროებდა დაზუსტებას.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[15] მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აღნიშნულ შვიდ პოლიტიკურ პარტიას, კერძოდ:

- „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის თავისუფლებისთვის“;
- „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;
- „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“;
- „გახარია - საქართველოსთვის“;
- „ელენე ხოშტარია - დროა“;
- „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“;
- „გირჩი - მეტი თავისუფლება“;

ეთხოვა, 3 სამუშაო დღის ვადაში, დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით წარმოედგინა შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

ანტიკორუფციული ბიუროს მოთხოვნის შესაბამისად, ექვსმა პოლიტიკურმა პარტიამ წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია, ხოლო, ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ - **„ელენე ხოშტარია - დროა“**, არ შეასრულა მოთხოვნა. აღნიშნული საკითხის თაობაზე ანიტიკორუფციულ ბიუროში მიმდინარეობს წარმოება.

დეპარტამენტმა დამატებით შეისწავლა ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომლებიც ერთობლივად შეაფასა უწყვეტი მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებულ მონაცემებთან და ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებებში არსებულ პოლიტიკური პარტიების საბანკო ტრანზაქციების ამსახველ ინფორმაციასთან ერთად და დაადგინა ხარვეზები, კერძოდ:

1. **პოლიტიკური პარტიის „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის თავისუფლებისთვის“** ფინანსური ანგარიშის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის „**ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის თავისუფლებისთვის**“ წევრის საგარეო ვიზიტის ხარჯი;

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის „**ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის თავისუფლებისთვის**“ მიერ ორგანიზებული საჯარო ღონისძიების/შეხვედრის ხარჯი.

2. **პოლიტიკური პარტიის „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“** ფინანსური ანგარიშის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზი:

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“** წევრების, როგორც პარტიის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ერთი საგარეო ვიზიტის ხარჯი. ფინანსურ ანგარიშში ასახული სამი საგარეო ვიზიტი კი დამატებით დაზუსტებას საჭიროებს.

3. **პოლიტიკური პარტიის „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“** ფინანსური ანგარიშის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“** წევრის საგარეო ვიზიტის ხარჯი;

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“** მიერ ორგანიზებული სამი საჯარო ღონისძიების/შეხვედრის ხარჯი;

- ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია პოლიტიკური პარტიის **„კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“** საოფისე ფართისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ.

4. **პოლიტიკური პარტიის „გახარია - საქართველოსთვის“** ფინანსური ანგარიშის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„გახარია - საქართველოსთვის“** წევრის, როგორც პარტიის წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ორი საგარეო ვიზიტის ხარჯი;

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„გახარია - საქართველოსთვის“** მიერ ორგანიზებული საჯარო ღონისძიების/შეხვედრის ხარჯი;

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„გახარია - საქართველოსთვის“** ლიდერის მედია-პლატფორმა „Youtube“ არხზე გასული 28 გადაცემის ხარჯი.

5. **პოლიტიკური პარტიის „ელენე ხოშტარია-დროას“** ფინანსური ანგარიშის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„ელენე ხოშტარია-დროა“** წევრის, როგორც პარტიის წარმომადგენლის მიერ განხორციელებული საგარეო ვიზიტის ხარჯი;

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„ელენე ხოშტარია-დროა“** მიერ ორგანიზებული საჯარო ღონისძიებების/შეხვედრების ხარჯი;

    - ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია პოლიტიკური პარტიის **„ელენე ხოშტარია-დროა“** საოფისე ფართისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ.

6. **პოლიტიკური პარტიის „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“** ფინანსური ანგარიშის სისრულის, სისწორის და კანონიერების შემოწმების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები:

    - ფინანსურ ანგარიშში არასრულყოფილად არის ასახული ინფორმაცია პოლიტიკური პარტიის **„კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“** ინტერნეტ-რეკლამის ხარჯის შესახებ;

- ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული პოლიტიკური პარტიის **„კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“** წევრების, როგორც პარტიის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული საგარეო ვიზიტების და საზღვარგარეთ ჩატარებული საჯარო შეხვედრების ხარჯი;

- ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია პოლიტიკური პარტიის **„კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“** მიერ გამართული ახალგაზრდული ბანაკის ხარჯის შესახებ;

- ფინანსურ ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია პოლიტიკური პარტიის **„კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“** ორი ოფისისა და მათთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ.

ანტიკორუფციულმა ბიურომ, პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობისა და საჯაროობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ[1]“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების თანახმად, ზემოაღნიშნული ხარვეზების თაობაზე მიმართა პოლიტიკურ პარტიებს:

- „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის თავისუფლებისთვის“;
- „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;
- „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“;
- „გახარია - საქართველოსთვის“;
- „ელენე ხოშტარია-დროა“;
- „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“;

და განუსაზღვრა 5-დღიანი ვადა რათა აღმოეფხვრათ მითითებული ხარვეზები და ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოედგინათ შესაბამისი ფინანსური ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

ანტიკორუფციული ბიუროს მითითების პასუხად, ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტიების მიერ ხარვეზები აღმოფხვრილია <u>ნაწილობრივ</u> ან <u>არ არის აღმოფხვრილი</u>, კერძოდ:

1. **პოლიტიკურმა პარტიამ „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“** განსაზღვრულ ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც <u>ნაწილობრივ</u> აღმოფხვრა დადგენილი ხარვეზები.

2. **პოლიტიკურმა პარტიამ „გახარია საქართველოსთვის“** განსაზღვრულ ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც <u>ნაწილობრივ</u> აღმოფხვრა დადგენილი ხარვეზები.

3. **პოლიტიკურმა პარტიამ „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“** განსაზღვრულ ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია და

დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც ნაწილობრივ აღმოფხვრა დადგენილი ხარვეზები.

4. **პოლიტიკურმა პარტიამ „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის თავისუფლებისთვის“** განსაზღვრულ ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც არ პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს მითითებებს, შესაბამისად დადგენილი ხარვეზები არ არის აღმოფხვრილი.

5. **პოლიტიკურმა პარტიამ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“** განსაზღვრულ ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც არ პასუხობს ანტიკორუფციული ბიუროს მითითებებს, შესაბამისად დადგენილი ხარვეზები არ არის აღმოფხვრილი.

6. **პოლიტიკურ პარტიას „ელენე ხოშტარია-დროა“** განსაზღვრულ ვადაში ანტიკორუფციულ ბიუროში ინფორმაცია არ წარმოუდგენია. შესაბამისად, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ დადგენილი ხარვეზები არ არის აღმოფხვრილი.

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ დადგენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, რომლებიც არ იქნა პოლიტიკური პარტიების მიერ აღმოფხვრილი, მიმდინარეობს წარმოება.

2.2. საარჩევნო სუბიექტების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი - 2024 წლის 27 აგვისტოდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, თავდაპირველად საარჩევნო სუბიექტად დარეგისტრირდა 27 პოლიტიკური პარტია, კერძოდ:

1. „საქართველო“;
2. „მესამე გზა“;
3. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
4. „გახარია საქართველოსთვის“
5. „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“
6. „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია“
7. „სამართლიანობისთვის“;
8. „ანა დოლიძე - ხალხისთვის“;
9. „თავისუფალი საქართველო“;
10. „მემარცხენე ალიანსი“;
11. „შეცვალე საქართველო“;
12. „დემოკრატთა ალიანსი“;
13. „ტრიბუნა“;
14. „მწვანეთა პარტია“;
15. „ჩვენ“;

16. „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“;
17. „ქართველ ნაციონალისტთა ერთობა“;
18. „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“;
19. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;
20. „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ - "გირჩი";
21. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
22. „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“;
23. „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;
24. „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“;
25. „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“;
26. „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“;
27. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“.

წინასაარჩევნო კამპანიის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანების შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვრათ საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის გრაფიკი. კერძოდ, საარჩევნო სუბიექტები ანტიკორუფციულ ბიუროს არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 კვირაში ერთხელ, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით წარუდგენენ შესაბამის ფინანსურ ანგარიშს მოცემული პერიოდულობით:

— 2024 წლის 27 აგვისტოდან 16 სექტემბრის ჩათვლით პერიოდზე – 2024 წლის 19 სექტემბრამდე;
— 2024 წლის 17 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე – 2024 წლის 10 ოქტომბრამდე;
— 2024 წლის 8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე - 2024 წლის 29 ოქტომბრამდე;
— 2024 წლის 27 აგვისტოდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე – 2024 წლის 8 ნოემბრამდე *(იმ საარჩევნო სუბიექტების მიერ, რომლებმაც წინასწარი მონაცემებით მიიღეს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა).*
— ინფორმაცია 2024 წლის 27 აგვისტოდან საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღის მდგომარეობით - არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა აუდიტორულ (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად *(თუ საარჩევნო კამპანიის ხარჯი არ აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, სრული საარჩევნო პერიოდის ანგარიში წარადგინოს აუდიტორული დასკვნის გარეშე).*

2024 წლის 27 აგვისტოდან 16 სექტემბრის ჩათვლით და 17 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშები, ანტიკორუფციულ ბიუროში 27-ვე საარჩევნო სუბიექტმა წარმოადგინა.

საარჩევნო სუბიექტების მიერ ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების სისრულის, სისწორისა და კანონიერების შემოწმების პროცესში, 5 საარჩევნო სუბიექტთან მიმართებით გამოვლინდა საკითხები, რომლებიც საჭიროებდა დაზუსტებას.

შესაბამისად, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[15] მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აღნიშნულ 5 საარჩევნო სუბიექტს:

- „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის თავისუფლებისთვის!“;
- „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;
- „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“;
- „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“;
- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გაეგზავნა მითითებები და კითხვები დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად მოიცავს ხარვეზებს ინტერნეტ-რეკლამის, საგარეო ვიზიტების, საჯარო შეხვედრების/ღონისძიებების ხარჯის შესახებ.

ანტიკორუფციულ ბიუროში, დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით, აღნიშნული საარჩევნო სუბიექტების მიერ დამატებით წარმოდგენილია ფინანსური ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია და მიმდინარეობს წარმოება.

3. პარლამენტის წევრობის კანდიდატის დეკლარაცია

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციიდან 1 კვირის ვადაში, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით შევსებული თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინა 1017-მა პარლამენტის წევრობის კანდიდატმა.

პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრირებულმა 5-მა პირმა ზემოაღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა. ანტიკორუფციული ბიუროს მიერ, აღნიშნულ პირთა მიმართ გამოცემულია განკარგულებები ჯარიმის დაკისრების თაობაზე.

4. შემოწირულებათა მონიტორინგი - 2024 წლის პირველი იანვრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი

პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებების კანონიერებისა და გამჭვირვალობის შესწავლის მიზნით, მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ანტიკორუფციული ბიურო სწავლობს **16** პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ, 2024 წლის პირველი იანვრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული შემოწირულებების კანონიერებასა და გამჭვირვალობას, რა მიზნითაც მოწმდება შემომწირველი **1190** ფიზიკური პირის ფინანსების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ:

	პოლიტიკური პარტია	შესამოწმებელი შემომწირველი პირი	სულ შემომწირველი პირი	%
1	„ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“	188	227	83
2	„კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“	340	344	99
3	„ევროპელი სოციალისტები“	5	6	83
4	„ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“	26	26	100
5	„ელენე ხოშტარია - დროა“	5	8	63
6	„ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“	121	163	74
7	„თაობები საქართველოსთვის“	1	1	100
8	„სოლიდარობა მშვიდობისთვის“	12	13	92
9	„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	439	439	100
10	„ხალხის ძალა“	3	7	43
11	„ანა დოლიძე - ხალხისთვის“	16	17	94
12	„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	12	35	34
13	„საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“	1	1	100
14	„გახარია საქართველოსთვის“	13	76	17
15	„ხალხის პარტია“	6	6	100
16	„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	2	14	14

5. განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი

პოლიტიკური ფინანსების უწყვეტი მონიტორინგის ფარგლებში, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გამოვლინდნენ სუბიექტები, რომელთა საქმიანობაც ექცეოდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რეგულირების ფარგლებში. შესაბამისად, ამავე ორგანული კანონის მე-7[1] მუხლის, 26[1]-ე მუხლისა და 34[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ო“ ქვეპუნქტების თანახმად, ანტიკორუფციული ბიუროს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები აღნიშნული სუბიექტების მიმართ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი შეზღუდვების გავრცელების თაობაზე. კერძოდ:

2024 წლის 4 აპრილის № 00005520 და № 00005521 გადაწყვეტილებებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით გათვალისწინებული შეზღუდვები გავრცელდა 2 ფიზიკურ პირზე:

1. ნიკანორი მელია;
2. ნიკა გვარამია.

2024 წლის 27 აგვისტოს № 03/003-24; № 03/004-24; № 03/005-24; № 03/006-24; № 03/007-24; № 03/008-24; № 03/009-24; № 03/010-24; № 03/011-24; № 03/012-24; № 03/013-24; № 03/014-24; № 03/015-24; № 03/016-24; № 03/017-24; № 03/018-24; № 03/019-24; № 03/020-24; № 03/021-24; № 03/022-24; № 03/023-24; № 03/024-24; № 03/025-24; № 03/026-24; № 03/027-24 გადაწყვეტილებებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით გათვალისწინებული შეზღუდვები გავრცელდა 25 ფიზიკურ და 2 იურიდიულ პირზე:

1. აზა გაბუნია;
2. არჩილ მჭედლიშვილი;
3. არჩილ ჟორჟოლიანი;
4. ბაკურ კვაშილავა;
5. გიორგი შაიშმელაშვილი;
6. დავით გზირიშვილი;
7. დავით ჯინჭარაძე;
8. ზურაბ ფარჯიანი;
9. თამარ მიქელაძე;
10. ირაკლი ქობალია;
11. ირინე კურტანიძე;
12. ირმა ზოიძე;
13. მათე ჩაფიჩაძე;
14. მარინე გულედანი;
15. მიხეილ მუმლაძე;
16. ნათია ხარატი;
17. ნატო სლეპაკოვა;
18. ნიკა ხომასურიძე;
19. ნინო შენგელია;
20. რევაზ აფხაზავა;
21. როლანდ შავაძე;
22. სიმონ ჯანაშია;
23. შენგელი ტოხოსაშვილი;
24. ლაშა უჩავა;

25. ლევან ცუცქირიძე;
26. ა(ა)იპ „თავისუფლების მოედანი - საქართველო“;
27. ა(ა)იპ „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“.

2024 წლის 24 სექტემბრის № 03/028-24 და № 03/029-24 გადაწყვეტილებებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით გათვალისწინებული შეზღუდვები გავრცელდა 10 ფიზიკურ და 2 იურიდიულ პირზე:

1. ეკა გიგაური;
2. ხათუნა ლაგაზიძე;
3. ლელა ჯეჯელავა;
4. გიორგი პაპელიშვილი;
5. ნიკოლოზ შურღაია;
6. შალვა ძებისაშვილი;
7. გიორგი თაქთაქიშვილი;
8. სოფიკო ჭყონია;
9. ივანე ჭყონია;
10. გიორგი რუხაძე;
11. ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
12. ა(ა)იპ „აირჩიე ევროპა“.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით 37 ფიზიკურ და 4 იურიდიულ პირს დაევალა პოლიტიკური მიზნით განხორციელებული ფინანსური საქმიანობის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა და შესაბამისი ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოდგენა.

განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონედ ცნობილ პირთაგან:

- 29 პირმა გახსნა საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში და ითანამშრომლა ანტიკორუფციულ ბიუროსთან;
- 12 პირს საარჩევნო ფონდი არ გაუხსნია – ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ა(ა)იპ „აირჩიე ევროპა“, ეკა გიგაური, ხათუნა ლაგაზიძე, ლელა ჯეჯელავა, გიორგი პაპელიშვილი, ნიკოლოზ შურღაია, შალვა ძებისაშვილი, გიორგი თაქთაქიშვილი, სოფო ჭყონია, ივანე ჭყონია, გიორგი რუხაძე.

ასევე,

- 6-მა პირმა ანტიკორუფციულ ბიუროში წარმოადგინა, მათ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია – ხათუნა ლაგაზიძე, ლელა ჯეჯელავა, გიორგი პაპელიშვილი, შალვა ძებისაშვილი, გიორგი თაქთაქიშვილი, გიორგი რუხაძე.

- 6 პირს ანტიკორუფციულ ბიუროში არ წარმოუდგენია მათ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია – ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ა(ა)იპ „აირჩიე ევროპა“, ეკა გიგაური, ნიკოლოზ შურღაია, სოფო ჭყონია, ივანე ჭყონია.

განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირები:

- **ლევან ცუცქირიძე;**
- **ირაკლი ქობალია;**
- **ბაკურ კვაშილავა;**
- **მარინე გულედანი;**
- **სიმონ ჯანაშია;**
- **გიორგი შაიშმელაშვილი;**
- **ნატო სლეპაკოვა;**
- **ნინო შენგელია;**

პოლიტიკური პარტიის „ძლიერი საქართველო ლელო ხალხისთვის თავისუფლებისთვის!“ მიერ, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წარდგენილ პარტიულ სიაში, რეგისტრირებული არიან პარლამენტის წევრობის კანდიდატებად.

განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირი **ლელა ჯეჯელავა** პოლიტიკური პარტიის „ერთიანობა ნაციონალური მოძრაობა“ მიერ, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წარდგენილ პარტიულ სიაში, რეგისტრირებულია პარლამენტის წევრობის კანდიდატად.

განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირები **ივანე ჭყონია** და **ნიკანორი მელია** პოლიტიკური პარტიის „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ მიერ, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის წარდგენილ პარტიულ სიაში, რეგისტრირებული არიან პარლამენტის წევრობის კანდიდატებად. ხოლო, ამასთანავე **ნიკა გვარამია** ნიკანორი მელიასთან ერთად იკავებს ამავე პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარის პოზიციას.

2024 წლის 2 ოქტომბერს ანტიკორუფციული ბიუროს გადაწყვეტილებით - № 00005520; № 00005521; № 03/003-24; № 03/004-24; № 03/005-24; № 03/006-24; № 03/007-24; № 03/008-24; № 03/009-24; № 03/010-24; № 03/011-24; № 03/012-24; № 03/013-24; № 03/014-24; № 03/015-24; № 03/016-24; № 03/017-24; № 03/018-24; № 03/019-24; № 03/020-24; № 03/021-24; № 03/022-24; № 03/023-24; № 03/024-24; № 03/025-24; № 03/026-24; № 03/027-24; № 03/028-24 და № 03/029-24 გადაწყვეტილებები ძალადაკარგულად გამოცხადდა.